



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 172

2017 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის
ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის
გამოცხადების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N226/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის თორნიკე სხირტლადის სამსახურებრივი ბარათის (N659285, 15.06.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში ფონდი) და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. ამ ბრძანების დანართ N 2-ად განისაზღვროს შეთანხმება ფონდსა და იულიხის სამეცნიერო კვლევით ცენტრს შორის დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის იულიხ-საქართველოს ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ;
4. დამტკიცდეს განაცხადის ფორმა ქართულ და ინგლისურ ენებზე ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების (CV)-ს ფორმა ქართულ და ინგლისურ ენაზე ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს ბიუჯეტის ფორმა მაგისტრანტებისთვის ქართულ და ინგლისურ ენებზე ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს ბიუჯეტის ფორმა ქართულ და ინგლისურ დოქტორანტებისთვის ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
10. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

გიორგი ხიშტოვანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

